ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიგდათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

№ 1-19 დავალების ინსტრუქცია - (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა) თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

(1) **1. რომელ არქიტექტორთა ნამუშევრების კომპილაციის საფუძველზე შექმნილი ინტერპრატაცია არის წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?**

ა) ფრენკ გერისა და ფრენკ ლოიდ რაიტის;

ბ) ზაჰა ჰადიდისა და იორნ უძონის;

გ) ანტონი გაუდისა და ლე კორბუზიეს;

დ) სანტიაგო კალატრავასა და გუსტავ ეიფელის.

(1) **2. რომელია კომპოზიტური ორდერის სახასიათო ნიშანი?**

ა) სვეტი ბაზის გარეშე პირდაპირ სტერეობატზე დგას;

ბ) კაპიტელის დეკორს გამოარჩევს აკანთის ფოთლებისა და ვოლუტების სინთეზი;

გ) სვეტი მასიური, გეომეტრიულად მკაცრი და სადაა;

დ) სვეტი გაფორმებულია ღრმა კანელიურებით, ხოლო კაპიტელი კი ვოლუტებით.

(1) **3. რომელი უძველესი სასახლის რელიეფია ფოტოზე წარმოდგენილი?**

ა) აშურბანიფალის სასახლის ნინევიაში;

ბ) სარგონ მეორის სასახლის დურ-შარუქინში;

გ) პერსეპოლისის აპადანას;

დ) მეფე ზიმრილიმის სასახლის მარიში.

(1) **4. რომელი თავისებურება *<u>არ არის</u>* კოლიზეუმის შესაბამისი?**

ა) ნაგებობას გეგმაში ელიფსის ფორმა აქვს;

ბ) მაყურებელთა ადგილები დაყოფილია ოთხ იარუსად;

გ) უსწორმასწორო ლანდშაფტს ორგანულად არის მორგებული;

დ) იარუსების ქვეშ განთავსებულია თაღოვანი გალერეები.

(1) **5. კოლიზეუმში შემუშავებული რომელი არქიტექტურული გადაწყვეტა გამოიყენება დღემდე სტადიონის მშენებლობისას?**

ა) არენის ქვეშ სხვადასხვა დანიშნულების სადგომების განთავსება ეფექტური ლოგისტიკის თვალსაზრისით;

ბ) გალერეების სისტემა და მრავალი გასასვლელი, როგორც სტადიონის სწრაფი განტვირთვის საშუალება;

გ) ფასადი, შედგენილი თაღების სამი მწკრივითა და პილასტრებით, რაც კედლების სიმსუბუქეს განსაზღვრავს;

დ) თაღების თავზე აღმართული ყრუ კედელი, როგორც დამცავი ზღუდე არენასა და მაყურებელს შორის.

(1) **6. დაასახელეთ სტილი XVII საუკუნის დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში, რომელიც თარგმანში უსწორმასწორო ზედაპირს ნიშნავს და ხასიათდება დინამიზმით, დრამატიზმით და ფერადოვანი თუ განათების კონტრასტით.**

ა) ბაროკო;

ბ) როკოკო;

გ) რომანტიზმი;

დ) არ-ნუვო.

(1) **7. რომელ ტექნიკაშია შექმნილი ალბრეხტ დიურერის წარმოდგენილი ნამუშევარი?**

ა) გრავიურის;

ბ) ზეთის;

გ) გუაშის;

დ) ტუშის.

(1) **8. რომელი კულტურით გატაცება იჩენს თავს პიკასოს წარმოდგენილ სურათზე?**



ა) ინდური;

ბ) აფრო-ამერიკული;

გ) იაპონური;

დ) შუა საუკუნეების.

(1) **9. წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელია იმპრესიონისტული სტილის ნამუშევარი?**

ა)	ბ)	გ)	დ)
			

(1) **10. რომელი ფორმულირება მიემართება ექსპრესიონიზმს?**

ა) ადამიანის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი, მისი იდეალური, განზოგადებული მხატვრული სახის გააზრება და ასახვა ნაწარმოებში;

ბ) სწრაფად ცვალებად სამყაროში წამის განუმეორებლობის, წუთიერი მხედველობითი შთაბეჭდილების ასახვა;

გ) დეფორმირება-სტილიზება, ფორმათა უტრირება, გამომსახველობისა და ემოციური ზემოქმედების გაძლიერება;

დ) მოვლენისა და საგნის ძირითადი არსის, გარემომცველი სამყაროს ზოგადი, მარადიული მდგომარეობის ძიება და ასახვა ნაწარმოებში.

(1) **11. მხატვრობის წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელი მიეკუთვნება ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას?**

ა)	ბ)	გ)	დ)
			

(1) **12.** შადრევნების წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელი *<u>არ მიეკუთვნება</u>* ჯოვანი ლორენცო ბერნინის?

ა)	ბ)	გ)	დ)

(1) **13. რომელია ის თავისებურება, წარმოდგენილ ნიმუშს იტალიური რენესანსის მახასიათებელთან რომ აახლოებს?**

ა) შუქ-ჩრდილით მოდელირებული მოცულობითი ფორმები;

ბ) მკვეთრი კონტურული ნახატით შექმნილი მეტყველი, პირობითი გამოსახულებები;

გ) ფიგურის განთავსება რეალურთან მიახლოებულ გარემოში და არა პირობითი პეიზაჟის ფონზე;

დ) გამოსახულებათა დეტალების ზედმიწევნით დამუშავება.

(1) **14. განსაზღვრეთ მოცემული შესაბამისობის ლოგიკა და დაადგინეთ, რომელი წყვილია შეუსაბამო?**

ა) მიქელანჯელო ბუონაროტი - ლორენცო ბერნინი;

ბ) რაფაელო სანტი - მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯო;

გ) ჯამბოლონია - არტემისია ჯენტილესკი;

დ) ლეონ ბატისტა ალბერტი - ფრანჩესკო ბორომინი.

(1) **15. რომელი მოქანდაკეები მოღვაწეობდნენ ძველ საბერძნეთში გვიანი კლასიკის ეპოქაში?**

ა) ფიდიასი, მირონი, პრაქსიტელესი;

ბ) პრაქსიტელესი, სკოპასი, ლისიპოსი;

გ) აგესანდრე, ლეოჩარესი, ფიდიასი;

დ) მირონი, ფიდიასი, პოლიკლეტოსი.

(1) **16. ჩამოთვლილთაგან, რომელი ასახავს მოდერნიზმის თავისებურებას?**

ა) მხატვრული ფორმის ლაკონურობა და სისადავე, მეტყველი ჟესტიკულაცია და უტრირებული, პირობითი ფორმები, დამუშავების თავისუფალი მანერა;

ბ) ფრონტალურად გაშლილი, ნათელი, ტექტონიკურად აგებული დასრულებული კომპოზიცია, შესრულების ზედმიწევნითი ფერწერული მანერა;

გ) ერთმანეთის გვერდით დადებული სწრაფი, მოკლე, შეურეველი, სხვადასხვა ფერის მონასმები, მოძრაობის და სინათლის ეფექტის შექმნა;

დ) უტრირებული, მეტყველი სახვითი ფორმა, რთული, დიაგონალური კომპოზიციური სტრუქტურა, მკვეთრი კონტრასტული განათება.

(1) 17. ამ ტიპის საღებავს შეუდარებელი მხატვრული უპირატესობები გააჩნია. შესაძლებელია მათი ინტენსიური შერევა, ფენებად დადება, გამოსახულების დამუშავებისას ცვლილებების შეტანა. ფერი არის ღრმა და ჟღერადი, რბილი და გამძლე. მათი საშუალებით იქმნება სხვადასხვა ხასიათის გამოსახულება - გლუვიდან პასტოზურამდე.

რომელ საღებავზეა საუბარი?

ა) გუაშის;

ბ) ზეთის;

გ) აკვარელის;

დ) ტემპერის.

(1) **18.** **რომელი ძირითადი სახვითი საშუალებაა უპირატესი წარმოდგენილ კომპოზიციაზე?**



ა) ხაზი;

ბ) ფერი;

გ) ფორმა;

დ) ფაქტურა.

(1) **19.** **რომელი მიმდინარეობის მხატვრები იყენებდნენ მოძრაობის გადმოსაცემად მსგავს ხერხს, ალტამირას მოხატულობის ავტორი რომ მიმართავს?**

ა) ექსპრესიონიზმის;

ბ) იმპრესიონიზმის;

გ) ფუტურიზმის;

დ) დადაიზმის.

№ 20-25 დავალება. ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: მცდარი დებულების შემთხვევაში, შეგიძლიათ, როგორც მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი/სიტყვა, ისე მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწეროთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ პასუხი იმ შემთხვევაში არ მიიღება, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით.
ნიმუში:

ნიმუში:



(1) **20.** ბაროკოს არქიტექტურის ძირითადი თავისებურებაა გეომეტრიზმი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ბატონობა სიბრტყეზე და მარტივი გეომეტრიული ფორმები.

(1) 21. ტონდოს ოთხკუთხა ფორმის მქონე მხატვრულ ნამუშევარს უწოდებენ.

(1) 22. აბსტრაქციონიზმმა ეჭვქვეშ დააყენა ხელოვნების ტრადიციული მაღალი ღირებულებები და ხელოვნების კომერციალიზაციაზე მიანიშნა საზოგადოებას.

(1) **23.** *საგრადა ფამილია* ანტონი გაუდის მიერ შექმნილი გოთიკური ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტაძარია.

(1) **24.** განათება ფერწერულ სურათზე არა მარტო ფორმის მოდელირების, არამედ სივრცის ილუზიის შექმნის საშუალებაც არის.

(1) 25. ხელოვნების წარმოდგენილი ნიმუში პასტელშია შესრულებული.



(7) **№ 26 დავალება.** ***პრაქტიკული სამუშაო***

ინსტრუქცია:

გაიაზრეთ ფოტოზე წარმოდგენილი გეომეტრიული ფორმებით შექმნილი სკულპტურის სტრუქტურა და გამოსახეთ მისი გრაფიკული ვერსია. გაითვალისწინეთ კომპოზიციური განაწილების პრინციპი; დაიცავით დეტალების შესაბამისი პროპორციები; შუქ-ჩრდილის მონაცვლეობის საშუალებით მიანიჭეთ მათ მოცულობა; დაცემული ჩრდილის გამოსახვისას განსაზღვრეთ განათების მიმართულება. დავალება შეასრულეთ პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე.

№ 27-29 დავალება. ***ქრონოლოგიის განსაზღვრა***

დავალების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისაკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

(1) **27.** დაალაგეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.

1.	2.	3.	4.

(1) **28.** **დაალაგეთ ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.**

1.	2.	3.	4. 

(1) **29.** დაალაგეთ ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით.			
1.	2.	3.	4.

(3) **№ 30 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა.*** შეუსაბამეთ **A** ველში მოცემულ პიკასოს ნამუშევრებს **B** ველში მოცემული ხელოვნების ნიმუშები, მხატვრისთვის შთაგონების წყაროდ რომ ქცეულა. გაითვალისწინეთ, ერთ ნამუშევარს მხოლოდ ერთი ხელოვნების ნიმუში შეესაბამება.

A. 1.



2.

3.

B. ა)

ბ)



გ)

დ)

ე)



(3) **№ 31 დავალება.** ***შესაბამისობის დადგენა.*** შეუსაბამეთ **B** ველში წარმოდგენილი სურათები **A** ველში მოცემულ სტილებს. გაითვალისწინეთ, ერთ სტილს მხოლოდ ერთი სურათი შეესაბამება.

A. 1. პუანტილიზმი 2. აკადემიზმი 3. სიმბოლიზმი

B. ა.

ბ.

გ.

დ.

ე.

წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

წერით დავალებებს თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.

გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) № 32 დავალება. წარმოდგენილი კომპოზიციები ძველი ბერძნული მითის მხატვრული ინტერპრეტაციაა, რომელშიც სიცხადეს იძენს შინაარსობრივი, იდეური თუ მხატვრული სახის ხასიათის თავისებურებები. შეარჩიეთ ოთხი ნამუშევრიდან ერთი, გააანალიზეთ და დაადგინეთ:

1.



2.

3.

4.

ა. რომელი მითის ინტერპრეტაცია შექმნა მხატვარმა? იმსჯელეთ ნაწარმოების შინაარსობრივ და ვიზუალურ შესაბამისობაზე;

ბ. დაახასიათეთ ნაწარმოების მხატვრული თავისებურებები და განმარტეთ, ეხმარება თუ არა ის მხატვრული სახის ხასიათის გადმოცემას? ნაწარმოები დააკავშირეთ ეპოქასთან. პასუხები გაამყარეთ არგუმენტებით.

(15) **№ 33 დავალება. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი**

გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში.

შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

(3) **33.1** აღწერეთ და დაახასიათეთ სურათი; რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

(3) **33.2** გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

(3) **33.3** მხატვრულ-სტილური მახასიათებ-ლების საფუძველზე განსაზღვრეთ მიმდინარეობა; დაადგინეთ, რომელი ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

(3) **33.4** შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

(3) **33.5** იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა. შ. კონტექსტში.